



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველო თვის მიმოხილვა

2022

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველწლიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259

სარჩევი

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება	4
2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა	8
3. საბანკო სექტორი	10
4. სავალუტო ბაზარი	15
5. ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი	19
6. საგარეო სექტორის მიმოხილვა	21

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება

2022 წლის აპრილში წლიურმა ინფლაციამ 12.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო მარტთან შედარებით ფასებმა 1.8 პროცენტით მოიმატა.

რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასები მკვეთრად გააძვირა. ომის დაწყებამდე უკრაინა და რუსეთი, სხვადასხვა პროდუქტის მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნები, მსოფლიო სატრანსპორტო სისტემის და მიწოდების ჯაჭვების მნიშვნელოვანი მონაწილენი იყვნენ. მაშინ როდესაც COVID-19-ით გამოწვეული მიწოდების ჯაჭვების პრობლემები და საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი ჯერ ბოლომდე დაძლეული არ იყო, მიმდინარე ომმა მიწოდების ჯაჭვები კიდევ მეტად შეაფერხა და საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი კიდევ უფრო გააღრმავა. შედეგად, მსოფლიოში ფასების ზრდის ახალი, მძლავრი ბიძგი წარმოიქმნა. ნავთობის, ხორბლის, შაქრის, მცენარეული ზეთისა და სხვა საკვები პროდუქტების ფასები მკვეთრად გაიზარდა. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სურსათის ინდექსი აპრილში წლიურად 29.8%-ით გაიზარდა. გლობალურად გაზრდილი ფასები ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცა. საქართველოსთვის კი ეს გამოწვევა დამატებით სირთულეებს შეიცავს, რადგან უკრაინა და რუსეთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ქვეყნებია.

აპრილში, წინა თვესთან შედარებით ყველაზე საგრძნობი საწვავის გაძვირება იყო. საწვავზე ფასის მატების ჯამურმა გავლენამ თვის ინფლაციაზე 0.3 პპ შეადგინა. პურის, და ზეთის გავლენა შესაბამისად, 0.2 და 0.1 პპ უტოლდებოდა, რაც როგორც აღვნიშნეთ რუსეთის მიერ წამოწყებული ომის ასახვაა.

წლიურ ჭრილში, სურსათის ფასების ზრდამ აპრილის წლიურ ინფლაციაში 6.2 პპ-იანი წვლილი შეიტანა. აქედან გამოსარჩევია პურის (1.0 პპ), ყველის (0.5 პპ), კარტოფილის (0.5 პპ), ზეთის (0.2 პპ), პომიდორის (0.2პპ), ქათმის ხორცი (0.2პპ) შაქრის (0.2 პპ) გაძვირება.


საწვავის ფასების ზრდის წვლილი აპრილის ინფლაციაში ჯამში 2.0 პპ-ს გაუტოლდა.

მარტში კომუნალური ხარჯების ინფლაციაზე გავლენა ძირითადად ამოიწურა, 3.6 პპ-დან 0.5 პპ-მდე შემცირდა და აპრილშიც იგივე დონეზე შენარჩუნდა.

საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს გამორიცხავს, 5.7 პროცენტს გაუტოლდა.

იმპორტირებული პროდუქტების ინფლაცია


მთლიანი და საბაზო (სურსათისა და ენერგომატარებლების და თამბაქოს გარეშე) ინფლაცია



წყარო: საქსტატი

1 <https://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/>


წლიური ფასების ცვლილება სამომხმარებლო კალათის ჯგუფების მიხედვით



აპრილში 16.0%-მდე შემცირდა, თუმცა ის ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაციასა (11.4%) და მომსახურების ინფლაციას (6.5%) მაინც მნიშვნელოვნად აჭარბებს. მომსახურების ფასები გლობალურ ფაქტორებზე ყველაზე ნაკლებად არის დამოკიდებული. იმპორტირებული პროდუქტების მაღალი

ინფლაცია, ადგილობრივ პროდუქტებთან და მომსახურებასთან შედარებით, იმ პირობებში, როცა ლარის გაცვლითი კურსი წლიურად გამყარებულია, იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ინფლაცია ძირითადად მსოფლიოში მიმდინარე პროცესებით არის გამოწვეული.


იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია



აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ხანმოკლე, საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი და მომსახურება შესაბამისად 2.3, 3.8 და 0.8 პროცენტით გაძვირდა, ხოლო ფასები ხანგრძლივი მომსახურების საქონელზე 0.9 პროცენტით შემცირდა.

წლიური მაჩვენებლების მიხედვით, ხანმოკლე, საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონელი, შესაბამისად, 17.5, 6.0 და 1.9 პროცენტით გაძვირდა. მომსახურებაზე ფასებმა 6.5 პროცენტით მოიმატა.

წლიური ინფლაციის მაჩვენებლები სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის



წყარო: საქსტატი

ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და წვლილი სფი-ში (პროცენტული პუნქტი).

	2022 წლის წონები	აპრ22/მარ22		აპრ22/აპრ21	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	1.8%	1.8%	12.8%	12.8%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	32.2%	3.3%	1.1%	21.3%	6.8%
სურსათი	28.9%	3.5%	1.1%	21.3%	6.2%
პური და პურპროდუქტები	5.6%	4.7%	0.3%	28.8%	1.6%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	2.2%	0.1%	10.9%	0.7%
თევზი	0.5%	3.5%	0.0%	18.9%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	-0.3%	0.0%	18.0%	1.1%
ზეთი და ცხიმი	1.9%	7.4%	0.2%	20.8%	0.5%
ხილი, ყურძენი	1.6%	3.2%	0.1%	14.4%	0.3%
ბოსტნეული, ბაღყეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.3%	9.0%	0.4%	46.2%	1.5%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	1.8%	0.0%	19.3%	0.4%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	3.4%	0.0%	10.1%	0.1%
უალკოჰოლო სასმელები	3.3%	2.0%	0.1%	22.3%	0.6%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	0.6%	0.0%	6.1%	0.4%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	3.8%	4.9%	0.2%	0.5%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	0.4%	0.0%	9.4%	0.9%
ავიჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	-0.3%	0.0%	10.1%	0.5%
ჯანმრთელობის დაცვა	7.8%	-0.4%	0.0%	2.8%	0.3%
ტრანსპორტი	13.0%	3.7%	0.5%	22.4%	2.6%
კავშირგაბმულობა	3.6%	-0.4%	0.0%	1.0%	0.0%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.7%	0.8%	0.0%	3.4%	0.1%
განათლება	4.6%	-0.2%	0.0%	3.1%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	5.4%	1.0%	0.0%	12.5%	0.5%
სხვადასხვა საკონელი და მომსახურება	5.3%	0.6%	0.0%	6.3%	0.3%
ხანმოკლე მოხმარების საკონელი	58.1%	2.3%	1.4%	17.5%	10.5%
საშუალო მოხმარების საკონელი	7.3%	3.8%	0.3%	6.0%	0.4%
ხანგრძლივი მოხმარების საკონელი	4.5%	-0.9%	0.0%	1.9%	0.1%
მომსახურება	30.1%	0.8%	0.2%	6.5%	1.8%

წყარო: საქსტატი


2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა

მონეტარული აგრეგატები

2022 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 151.4 მლნ ლარით (3.0 პროცენტით) გაიზარდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 5.2 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, წინა თვესთან

შედარებით, მონეტარული ბაზა 75.6 მლნ ლარით (1.5 პროცენტით) გაიზარდა. პერიოდის ბოლოსთვის, სარეზერვო ფულის წლიური ზრდის ტემპი -4.8 პროცენტს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში შიდასამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 39.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებით ეროვნულ ბანკს ინტერვენციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა თვის განმავლობაში 3.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 36.3 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.

აპრილში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 617.8 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 867.1 მლნ ლარს გაუტოლდა.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, რეფინანსირების სესხების მოცულობა წინა თვესთან შედარებით 90.0 მლნ ლარით გაიზარდა და 2,600.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი სესხის მოცულობა უცვლელია და 400 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ერთდღიანი სესხი 3.3 მლნ ლარით შემცირდა. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთის ოდენობა 32.7 მლნ ლარით შემცირდა და 505.2 მლნ ლარს შეადგენს. ამასთან, გაიცა მუდმივმოქმედი სვოპი 5.0 მლნ ლარის ოდენობით. საანგარიშო

პერიოდში, განთავსდა და დაიფარა 20-20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მთლიანობაში, საანგარიშო პერიოდში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 59.0 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 3,681.0 მლნ ლარს გაუტოლდა. გარდა ამისა, თვის განმავლობაში 235.8 მლნ ლარით შემცირდა სავალუტო სვოპის მოცულობა და სრულად დაიფარა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ 50.0 მლნ ლარი შეადგინა, ასევე დაიფარა 143.4 მლნ ლარი და პორტფელის მოცულობა 93.4 მლნ ლარით შემცირდა.

ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადების მოძრაობის ზეგავლენით, თვის განმავლობაში, სარეზერვო ფულის მოცულობა 151.4 მლნ ლარით, მათ შორის, ნაღდი ფული მიმოქცევაში - 159.7 მლნ ლარით გაიზარდა, ხოლო საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების ეროვნული ვალუტით განთავსებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები - 1.4 მლნ ლარით, კომერციული ბანკების ერთდღიან დეპოზიტებზე არსებული ნაშთების ოდენობა 7.0 მლნ ლარით შემცირდა.

სარეზერვო ფულის დინამიკა; პერიოდის ბოლო (ათასი ლარი)

	იან-22	თებ-22	მარ-22	აპრ-22
სარეზერვო ფული	4,848,754	4,960,912	5 028 685	5 180 081
ფული მიმოქცევაში	4,203,239	4,256,935	4 391 685	4 551 434
ბანკების დეპოზიტები	645,515	703,977	637 000	628 648
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	568,824	567,577	627 000	625 648
ერთდღიანი დეპოზიტები	76,690	136,400	10 000	3 000

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საშუალო სარეზერვო ფულის დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-22	თებ-22	მარ-22	აპრ-22
სარეზერვო ფული	5,008,242	4,881,893	5,117,452	5 193 002
ფული მიმოქცევაში	4,354,002	4,217,943	4,425,317	4 530 356
ბანკების დეპოზიტები	654,239	663,949	692,135	662 646
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	593,909	574,866	613,613	591 181
ერთდღიანი დეპოზიტები	60,330	89,083	78,522	71 465

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფართო ფული

2022 წლის აპრილში, ფართო ფულის, M3-ის აგრეგატი 294.3 მლნ ლარით გაიზარდა და თვის ბოლოსათვის 33.6 მლრდ ლარი შეადგინა. წლიური ზრდის ტემპი 7.4 პროცენტი იყო. საანგარიშო პერიოდში, უცხოური ვალუტით დეპოზიტების მოცულობა 107.3 მლნ ლარით გაიზარდა და აპრილის ბოლოსთვის 17.44 მლრდ ლარს გაუტოლდა, რაც

მეტწილად კურსის გამყარებამ განაპირობა. ამავე პერიოდში, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 132.2 მლნ ლარით გაიზარდა და 12.66 მლრდ ლარი შეადგინა. ფართო ფული M2-ის მაჩვენებელი, საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით 186.96 მლნ ლარით 16.21 მლრდ ლარამდე გაიზარდა.

ფულადი აგრეგატების დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-22	თებ-22	მარ-22	აპრ-22
ფართო ფული /M3/	32,790,664	33,611,863	33,345,822	33 640 117
ფულადი მასა /M2/	15,558,051	15,748,745	16,017,251	16 204 206
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	3,302,076	3,308,070	3,493,849	3 548 566
ლარები მიმოქცევაში	4,203,239	4,256,935	4,391,685	4 551 434
დეპოზიტები ეროვნული ვალუტით	12,255,975	12,440,674	12,523,402	12 655 640
დეპოზიტები უცხოური ვალუტით	17,232,613	17,863,119	17,328,571	17 435 911

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


3. საბანკო სექტორი

2022 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 228.0 მლნ ლარით (0.6 პროცენტით) გაიზარდა და 37.3 მლრდ ლარს გაუტოლდა. 2021 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში, მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 4.8 პროცენტით არის გაზრდილი.

სადეპოზიტო ვალდებულებების ზრდა ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდამ განაპირობა.

სადეპოზიტო ვალდებულებები

მილიარდი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, ლარით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა 119.5 მლნ ლარით (0.8 პროცენტით) გაიზარდა და 15.1 მლრდ ლარი შეადგინა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები ზრდის მიმართულებით მოქმედებდა (გაიზარდა 65.0 მლნ ლარით). იურიდიული პირების დეპოზიტები 6.2 მლნ ლარით, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტები კი 48.4 მლნ ლარით გაიზარდა.


კომერციულ ბანკებში, უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე 133.9 მლნ აშშ დოლარი (1.9 პროცენტის) ზრდა დაფიქსირდა და პერიოდის ბოლოს, 7.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ძირითადად, მიმდინარე ანგარიშების და ფიზიკური პირების დეპოზიტების მატებით არის განპირობებული.

უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი, 2022 წლის აპრილში 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 59.6 პროცენტს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, შესაბამისად, 48.2 და 72.9 პროცენტს შეადგენდა.


მიმდინარე წლის აპრილში წინა თვესთან შედარებით, საშუალო საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 7.3 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე, წლიური

საშუალო შეწონილი განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 11.4 პროცენტს გაუტოლდა. იურიდიული პირების ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე, წინა თვესთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტიანი მატება დაფიქსირდა და 11.3 პროცენტი შეადგინა. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე წლიური განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით მატება დაფიქსირდა და 11.6 პროცენტს შეადგენს. უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების წლიური განაკვეთი შემცირებულია 0.1 პროცენტული პუნქტით და 0.8 პროცენტს შეადგენს. მათ შორის, უცხოური ვალუტით იურიდიული პირების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები 0.2 პროცენტული პუნქტით 2.1 პროცენტამდე გაიზარდა. უცხოური ვალუტით ფიზიკური პირების დეპოზიტებზე განაკვეთი 0.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 1.3 პროცენტს გაუტოლდა. 2021 წლის აპრილის არსებულ განაკვეთებთან შედარებით, ეროვნული ვალუტით დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 1.1 პროცენტული პუნქტით 11.1 პროცენტამდე გაიზარდა. უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების განაკვეთებზე 0.1 პროცენტული პუნქტით კლება დაფიქსირდა წინა წლის აპრილთან შედარებით და 1.4 პროცენტს გაუტოლდა.

დეპოზიტები ეროვნული ვალუტით




დეპოზიტები უცხოური ვალუტით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების ზრდის ტემპი წინა თვესთან




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტების მოცულობა 237.5 მლნ ლარით შემცირდა და მთლიანი მოცულობა 42.6 მლრდ ლარს გაუტოლდა. საკრედიტო პორტფელის კლება ძირითადად კურსის გამყარების შედეგად უცხოური ვალუტის სესხების ლარით გამოსახული მაჩვენებლების კლებამ განაპირობა. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების პორტფელის წლიურმა ზრდის ტემპმა კი 7.7 პროცენტი შეადგინა.

გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე კი, სესხების წლიური ზრდა 17.9 პროცენტი იყო. საკრედიტო პორტფელის 88.9 პროცენტი გრძელვადიან სესხებზე მოდიოდა, რომლის 50.7 პროცენტი უცხოური ვალუტით იყო გაცემული. მოკლევადიან სესხებში კი უცხოური ვალუტით სესხების წილი 42.1 პროცენტს შეადგენდა.

სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან




საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები წინა თვესთან შედარებით 215.0 მლნ ლარით (1.0 პროცენტით) გაიზარდა და 21.4 მლრდ ლარს გაუტოლდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად ფიზიკური პირების დაკრედიტების ზრდით იყო განპირობებული.

უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა აპრილში 28.9 მლნ აშშ დოლარით (0.4 პროცენტით) შემცირდა, წინა თვესთან შედარებით, მოკლევადიანი სესხები ეროვნული ვალუტით

და პერიოდის ბოლოს 7.11 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამ კატეგორიის კრედიტების 62.5 პროცენტს იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები შეადგენს, ხოლო 88.5 პროცენტი გრძელვადიან დაკრედიტებას უჭირავს.

საანგარიშო პერიოდში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 49.6 პროცენტს გაუტოლდა.


მილიონი ლარი



მოკლევადიანი სესხები უცხოური ვალუტით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები ეროვნული ვალუტით


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები უცხოური ვალუტით

მილიონი ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილის თვეში, ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 72.4 მლნ ლარით გაიზარდა და 557.7 მლნ ლარს გაუტოლდა. მათი წილი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში

1.3 პროცენტი იყო. ვადაგადაცილებული სესხების 39.2 პროცენტი ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბანკო სისტემაში საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე მიმდინარე წლის აპრილში 0.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 12.8 პროცენტს შეადგინა. უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 6.5 პროცენტი შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.4 პროცენტული პუნქტით, 16.7 პროცენტამდე გაიზარდა. ეროვნული ვალუტით სესხების შემთხვევაში, საპროცენტო ფიზიკური პირების საპროცენტო განაკვეთები 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და განაკვეთებმა ფიზიკური პირებისთვის 18.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო

იურიდიული პირების სესხებზე 0.4 პროცენტული პუნქტით, წლიურ 13.8 პროცენტამდე გაიზარდა. უცხოური ვალუტის შემთხვევაში, იურიდიული პირების სესხებზე საპროცენტო განაკვეთები 0.2 პროცენტული პუნქტით 6.5 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო ფიზიკური პირების მიერ უცხოური ვალუტით აღებული სასესხო განაკვეთები 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 6.1 პროცენტს გაუტოლდა. წინა წლის აპრილთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტის სესხებზე 0.1 პროცენტული პუნქტით, ხოლო ეროვნული ვალუტის სესხებზე 1.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

სესხების და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


4. სავალუტო ბაზარი

გაცვლითი კურსი

2022 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.2421-დან 3.0663-მდე (5.4 პროცენტით), ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 3.5715-დან 3.3318-

მდე (6.7 პროცენტით) გამყარდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 3.0591 და 3.2338 შეადგინა, შესაბამისად.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ, თვის საშუალო




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 3.0918, ხოლო მინიმალურმა 3.0273 შეადგინა. თვის განმავლობაში დაფიქსირებული კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა საშუალო კურსიდან 0.8 პროცენტით იყო გადახრილი, ხოლო მინიმალური -1.3 პროცენტით.

თვის საშუალო მაჩვენებლებით, საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე ევრო დოლარის მიმართ - 1.4 პროცენტით გაუფასურდა. რაც შეეხება საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს, დოლარის მიმართ თურქული ლირა 0.6 პროცენტით გაუფასურდა, რუსული რუბლი - 26.2 პროცენტით, აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა, ხოლო სომხური დრამი - 5.5 პროცენტით გამყარდა².

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველდღიური მერყეობის დიაპაზონი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


² წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წინა თვესთან შედარებით ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 0.8 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.2 პროცენტით გამყარდა. წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 20.4 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 27.5 პროცენტით გამყარდა.

სავაჭრო პარტნიორთაგან აპრილში წლიური ინფლაცია საქართველოში დაფიქსირებულ 12.8 პროცენტზე მაღალი იყო თურქეთში - 70.0 პროცენტი, რუსეთში - 17.8 პროცენტი, ბელორუსში - 16.8 პროცენტი, უკრაინაში - 16.4 პროცენტი, აზერბაიჯანში - 12.9 პროცენტი, ხოლო დაბალი იყო

სომხეთში - 8.4 პროცენტი, აშშ-ში - 8.3 პროცენტი და ევროზონაში - 7.4.

ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ 2012=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარი

2022 წლის აპრილში ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა შემცირდა. აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 113.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით - 36.3 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის აპრილთან შედარებით 31.5 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 2.4 პროცენტით შემცირდა, ხოლო წლიურად 49.4 პროცენტით გაიზარდა.

საანგარიშო პერიოდში, სავალუტო ბაზრის კონცენტრაცია გაიზარდა: ქვეყანაში მოქმედი 14 ბანკიდან და 5³ არასაბანკო ორგანიზაციიდან ბანკთაშორისი სავალუტო გარიგებების მთლიანი თანხის 60 პროცენტი (მარტი - 54 პროცენტი) 5 ყველაზე აქტიურ ორგანიზაციაზე მოდის. დადებული გარიგებების რაოდენობის მიხედვით, 5 ყველაზე აქტიურ ორგანიზაციას ბაზრის 55 პროცენტი (მარტი - 53 პროცენტი) უჭირავს. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი არ შეცვლილა და კვლავ 9 პროცენტია (მარტი - 9 პროცენტი), რაც დაბალი მაჩვენებელია და სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.

³ რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში

ბანკათშორის სავალუტო ბაზარი და ეროვნული ბანკის წვლილი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ვაჭრობა ბანკებსა და დანარჩენ კონომიკურ აგენტებს შორის

აპრილში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები წლიურად გაიზარდა, ხოლო თვიურად შემცირდა. უცხოური ვალუტით ლარის ვაჭრობა თითქმის მთლიანად სპოტ გარიგებებით ხდებოდა (99.0 პროცენტი) და 2,006.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მარტის მონაცემთან შედარებით - 447.3 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 473.2 მლნ აშშ დოლარით მეტია.

სპოტ⁴ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე (70.8 პროცენტი), დანარჩენი კი შინამეურნეობებზე (28.3 პროცენტი) და არარეზიდენტ ბანკებზე (0.7 პროცენტი) მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი 0.2 პროცენტი იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ თვის განმავლობაში 3.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სებ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე (მლნ აშშ დოლარი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

⁴ სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.


საერთო ჯამში, სპოტ გარიგებებით ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნამ 1,056.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მარტის მაჩვენებელთან შედარებით - 158.9 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, ხოლო წლიურად 314.7 მლნ აშშ დოლარით მეტია. სეგმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ სპოტ გარიგებებით იურიდიული პირების მიერ უცხოური ვალუტის ყიდვებმა 831.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, შინამეურნეობების შესყიდვები 213.4 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო არარეზიდენტი ბანკების - 8.2 მლნ აშშ დოლარი.

რაც შეეხება ეკონომიკური აგენტების მიერ სპოტ გარიგებებით უცხოური ვალუტის მიწოდებას, აპრილში 950.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მარტის მაჩვენებელთან შედარებით - 288.4 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, ხოლო წლიურად 158.6 მლნ აშშ დოლარით მეტია. იურიდიულმა პირებმა 589.9 მლნ აშშ დოლარი გაყიდეს, შინამეურნეობებმა - 354.6 მლნ აშშ დოლარი, არარეზიდენტმა ბანკებმა კი - 5.8 მლნ აშშ დოლარი.

სპოტ გარიგებით შეძენილი უცხოური ვალუტა



სპოტ გარიგებით გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აპრილში სავალუტო ფორვარდ⁵ გარიგებებით ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობამ 19.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მარტის მონაცემთან შედარებით 7.4 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15.3 მლნ აშშ დოლარით მეტია. მიმდინარე თვეში ფორვარდ გარიგებების 92.5 პროცენტი იურიდიულ პირებზე მოდიოდა, არარეზიდენტ ბანკებზე - 7.4 პროცენტი, ხოლო შინამეურნეობებზე - 0.1 პროცენტი.

ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა 7.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


⁵ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

5. ბანკთაშორის ფულადი ბაზარი

სადეპოზიტო სერტიფიკატები აპრილში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონზე ბანკების მხრიდან მოთხოვნამ 52.0 მლნ ლარი შეადგინა და სრულად განთავსდა 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები, საანგარიშსწორებო ფასით 19.5 მლნ ლარი. საშუალო შეწონილი საპროცენტო

განაკვეთი 0.54 პროცენტული პუნქტით, 11.03 პროცენტამდე, გაიზარდა. არსებული დაფარვების გათვალისწინებით, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და მარტის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.

3-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონები აპრილში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ხუთი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 222.5 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. საანგარიშსწორებო ფასმა 220.5 მლნ ლარი შეადგინა. ბანკების მხრიდან მოთხოვნამ ფასიან ქაღალდებზე ემისიას 2.2-ჯერ გადააჭარბა.

აპრილში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 70, 80 და 25 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი 302.5 მლნ ლარით შემცირდა და 5,590.5 მლნ ლარი შეადგინა. აპრილში, წინა თვესთან შედარებით, არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელის მოცულობა 63.3 მლნ ლარით შემცირდა და 399.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც მთლიანი პორტფელის 7.1%-ია. წლიურად კი

აღნიშნული პორტფელი 283.1 მლნ ლარით არის შემცირებული.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, აპრილში, წინა თვესთან შედარებით, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 0.78 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 11.01 პროცენტი შეადგინა. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი განაკვეთი 10.76 პროცენტი იყო, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.21 პროცენტული პუნქტით მეტია. ორწლიანი და ხუთწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთები წინა თვესთან შედარებით, შესაბამისად, 0.85 და 0.46 პროცენტული პუნქტებით გაიზარდა და 10.73 და 10.60 პროცენტები შეადგინა. ათწლიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი კი, წინა თვესთან შედარებით, 0.71 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 10.54 პროცენტი შეადგინა.

შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი წინა თვესთან შედარებით, აპრილში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა, მცირედით, 77.8 მლნ ლარით შემცირდა და 6,301.2 მლნ ლარი შეადგინა. თუმცა წინა წლის აპრილთან შედარებით ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა, 2,655.4 მლნ ლარით მეტია.

წინა თვესთან შედარებით, ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობის შემცირება ეროვნული ვალუტის რესურსის ბრუნვის შემცირებამ განაპირობა. კერძოდ, წინა თვესთან შედარებით ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა 712.5 მლნ ლარით (32.6 პროცენტი) შემცირდა, ხოლო, უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის მოცულობა 634.8 მლნ ლარით (15.1 პროცენტი) გაიზარდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის აპრილში ლარის რესურსის ბრუნვა 107.2 მლნ ლარით (7.8 პროცენტი), ხოლო, უცხოური ვალუტის ბრუნვა 2,548.1 მლნ ლარით (111.9 პროცენტი) გაიზარდა.


აპრილში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მთლიან ბრუნვაში ლარის რესურსის წილმა 23.4 პროცენტი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე

10.9 პროცენტული პუნქტით, ხოლო წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 14.1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. უცხოური ვალუტის რესურსის წილმა კი 76.6 პროცენტი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 10.9 პროცენტული პუნქტით, ხოლო წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 14.1 პროცენტული პუნქტით მეტია.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 2.15 პროცენტული პუნქტით, ხოლო წლიურად 2.36 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 10.74 პროცენტი შეადგინა. ბანკთაშორის ბაზარზე უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთი თვის განმავლობაში 0.17 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო წლიურად 1.00 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 0.97 პროცენტი იყო.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ფულადი ბაზრის რესურსის 18.5 პროცენტი ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 80.3 პროცენტი კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

6. საგარეო სექტორის მიმოხილვა

2022 წლის აპრილში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 40.6 პროცენტით გაიზარდა და 532.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საანგარიშო თვეში საქონლის საქონლის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა

რეგისტრირებულმა ექსპორტმა წლიურად 10.1 პროცენტით მოიმატა და 415.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 25.4 პროცენტით 948.0 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.




იმპორტი - 2022 წლის აპრილში საქონლის იმპორტი წლიურად 25.4 პროცენტით გაიზარდა. რეგიონის ქვეყნებიდან იმპორტის ზრდაში მაღალი წვლილით გამოირჩეოდა რუსეთი, რაც, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემოტანას უკავშირდება. ხოლო იმპორტის ზრდა თურქეთიდან - მსუბუქი ავტომობილებისა და სამშენებლო მანქანების გაზრდილმა შესყიდვებმა გამოიწვია. სომხეთიდან იმპორტის მატება კვლავ სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო აზერბაიჯანიდან ნავთობპროდუქტების შემოტანამ განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან, კერძოდ, ჩინეთიდან - რეზინის საბურავებისა და სამშენებლო ხის მასალების, გერმანიიდან - ტურბოტრექტორული ძრავებისა და სხვა საფრენი აპარატების, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან - სატელეფონო


აპარატების, ბულგარეთიდან - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, იმპორტის შემცირება უკრაინიდან - სიგარეტები-სიგარილეებისა და ნახშირბადიანი ფოლადის წნელების, ჩილედან - სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების შემოტანის კლებით არის გამოწვეული.

2022 წლის აპრილში ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები იყო: თურქეთი, რუსეთი, ჩინეთი, აშშ, გერმანია, სომხეთი და აზერბაიჯანი. ჯამურად, 7 ძირითადი სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 63 პროცენტი მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტის წლიური ცვლილება



იმპორტი ქვეყნების მიხედვით (აპრილი 2022)



2022 წლის აპრილში, იმპორტირებული საქონლის მნიშვნელოვან ნაწილს, 9.8 პროცენტს, ნავთობი და ნავთობპროდუქტები წარმოადგენდა, რომელთა ჯგუფმა იმპორტის ზრდაში 5.0 პპ წვლილი შეიტანა. საანგარიშო პერიოდში, იმპორტირებულ საქონელში, ასევე მნიშვნელოვანი წილით (9.1 პროცენტი) წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილები, რომელთა ჯგუფმა იმპორტის ზრდაში 4.3 პპ წვლილი შეიტანა. იმპორტზე ზრდის მიმართულებით, აგრეთვე, დაფასებული სამკურნალო საშუალებების, ნავთობაირების, სატელეფონო აპარატების, ნახშირბადიანი ფოლადის წნელების, ტურბორეაქტიული ძრავებისა და სამშენებლო მანქანების ჯგუფების იმპორტმა (ჯამურად 4.3 პპ) მნიშვნელოვნად იმოქმედა. გარდა ამისა, მარგარინის იმპორტი არსებითად გაიზარდა.

ამის საპირისპიროდ, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების იმპორტი ზომიერად შემცირდა. აღსანიშნავია, რომ აპრილში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით

	2022 აპრილი		2022 მარტი		2021 აპრილი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	92 503.5	9.8%	81 856.8	9.1%	54 698.3	7.2%
მსუბუქი ავტომობილები	86 653.1	9.1%	64 082.8	7.1%	54 383.9	7.2%
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	43 503.9	4.6%	68 641.9	7.6%	44 663.4	5.9%
დაფასებული სამკურნალო საშუალებები	37 626.6	4.0%	32 635.1	3.6%	36 518.0	4.8%
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	21 187.2	2.2%	64 881.3	7.2%	18 264.3	2.4%
სატელეფონო აპარატები	17 027.8	1.8%	16 418.4	1.8%	13 670.0	1.8%
ძრავები ტურბორეაქტიული და ტურბოხრახნიანი, ტურბინები აირის სხვა	11 753.6	1.2%	6.0	0.0%	14.4	0.0%
ბულონურები, ავტოგრეიდერები, ექსკავატორები, სატკეპნი მანქანები და სხვა	10 464.0	1.1%	5 742.4	0.6%	2 848.6	0.4%
წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე	9 852.6	1.0%	10 382.6	1.2%	3 987.8	0.5%
მარგარინი	9 774.5	1.0%	4 429.4	0.5%	2 859.6	0.4%
სხვა	607 654.2	64.1%	550 124.6	61.2%	524 359.7	69.3%
სულ	948 001.0		899 201.3		756 267.9	


წყარო: საქსტატი

ექსპორტი 2022 წლის აპრილში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 10.1 პროცენტით გაიზარდა. ზრდაში ყველაზე მაღალი 11.7 პპ-იანი წვლილი პერუმ შეიტანა, რაც ძირითადად ქიმიურ და მინერალურ სასუქებზე მოთხოვნის ზრდას უკავშირდება. რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების ზრდაში მაღალი წვლილი შეიტანა სომხეთში ექსპორტის მატებამ, რაც სასუქებისა და მსუბუქი ავტომობილების გაყიდვებს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან ყაზახეთში - მსუბუქი ავტომობილებისა და პოლიაცეტილების, ყირგიზეთში - მსუბუქი ავტომობილებისა და ციანიდების ექსპორტი გაიზარდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ბულგარეთში ძვირფასი ლითონების, ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, შვეიცარიაში - დაუმუშავებელი ოქროს, ხოლო იტალიაში ფეროშენადნობებისა და


კაკალი/თხილის ექსპორტი. ამის საპირისპიროდ, უკრაინაში გამომთვლელი მანქანების, მსუბუქი ავტომობილებისა და სპირტიანი სასმელების, ხოლო ჩინეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა.

2022 წლის აპრილში ძირითადი საექსპორტო ქვეყნები იყო: ჩინეთი, რუსეთი, პერუ, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, სომხეთი და თურქეთი. ჯამურად, 7 ძირითადი სავაჭრო პარტნიორის წილმა მთლიანი ექსპორტის 73 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტის წლიური ცვლილება



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (აპრილი 2022)



წყარო: საქსტატი

2022 წლის აპრილში ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების 10.1 პროცენტთან მატებაში ყველაზე დიდი წვლილი მინერალური და ქიმიური სასუქების (11.6 პპ) ექსპორტმა შეიტანა, რომელიც წლიურად 6.6-ჯერ გაიზარდა. ექსპორტის მოცულობაზე ფეროშენადნობებზე, თხილი-კაკალსა და დაუმუშავებელ ოქროზე საგარეო მოთხოვნის მატება (ჯამურად 3.2 პროცენტული პუნქტი წვლილი მთლიანი ექსპორტის ზრდაში) დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, მსუბუქი ავტომობილების, ყურძნის ნატურალური ღვინოების, დაფასოებული

სამკურნალო საშუალებების, ტანსაცმელისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი არსებითად შემცირდა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ექსპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით

	2022 აპრილი		2022 მარტი		2021 აპრილი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	92 187.6	22.2%	114 809.2	27.9%	105 334.5	27.9%
სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	51 767.7	12.5%	18 320.5	4.5%	7 823.9	2.1%
მსუბუქი ავტომობილები	37 115.3	8.9%	22 322.9	5.4%	38 784.0	10.3%
ფეროშენადნობები	35 308.2	8.5%	59 657.1	14.5%	27 766.5	7.4%
ყურძნის ნატურალური ღვინოები	14 596.1	3.5%	12 600.7	3.1%	23 026.3	6.1%
თხილი და სხვა კაკალი	8 190.6	2.0%	6 617.9	1.6%	5 965.7	1.6%
მაისურები, თხილი კვარტები და სხვა ტრიკოტაჟის ნაწარმი	7 358.3	1.8%	7 701.9	1.9%	7 894.8	2.1%
ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადამუშავებული	6 672.9	1.6%	7 965.3	1.9%	4 257.7	1.1%
დაფასოებული სამკურნალო საშუალებები	6 247.2	1.5%	8 117.6	2.0%	9 298.5	2.5%
სპირტიანი სასმელები	6 010.1	1.4%	5 409.9	1.3%	14 236.4	3.8%
სხვა	150 280.6	36.1%	147 885.3	35.9%	133 301.2	35.3%
სულ	415 734.6		411 408.3		377 689.5	


წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები 2022 წლის აპრილში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წელთან შედარებით 58.8 პროცენტით მოიმატა და 308.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 1.5 პროცენტით 25.4 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.

საანგარიშო თვეში, რეგიონის ქვეყნებიდან ზრდის მაღალი ტემპით ყაზახეთიდან (704.9 პროცენტი) და ყირგიზეთიდან (156.6 პროცენტი) გადმორიცხული ფულადი სახსრები გამოირჩეოდა, რომელთა წვლილები მთლიანი გზავნილების ცვლილებაში, შესაბამისად, 17.5 და 1.8 პროცენტული პუნქტებით აისახა. რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები აპრილში რეკორდულად მაღალი იყო (133 მლნ აშშ დოლარი), რაც წინა წელთან შედარებით 4-ჯერ მაღალი აღმოჩნდა. ფულადი გადმორიცხვები თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან შემცირდა, ხოლო სომხეთიდან მცირედით გაიზარდა. საანგარიშო პერიოდში წლიურ დონეზე ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმორიცხული თანხები 5.8 პროცენტით გაიზარდა (2.4 კპ წვლილი), რაც, ძირითადად, გერმანიიდან (37.5 პროცენტით), იტალიიდან (5.3 პროცენტით) და გაერთიანებული სამეფოდან (39.1 პროცენტით) გაზრდილმა გზავნილებმა განაპირობა. საბერძნეთიდან გზავნილების მოცულობა კვლავ (14.3 პროცენტით) შემცირდა. დანარჩენი ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების ზრდაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა აშშ-დან (0.6 პროცენტით) და ისრაელიდან (4.6 პროცენტით) მიღებულმა თანხებმა. რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით განაწილებას, ფულადი


გზავნილების ძირითად წყაროს აპრილში რუსეთი (43.2 პროცენტი), ევროკავშირის ქვეყნები (27.9 პროცენტი) და აშშ (8.1 პროცენტი) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

წილი მთლიან ფულად გზავნილებში (აპრილი 2022)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქვეყნების წვლილი სწრაფი ფულადი გზავნილების ზრდაში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ტურიზმი 2022 წლის აპრილში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 160.1 პროცენტით გაიზარდა. ტურისტების რაოდენობამ მთლიანი ვიზიტორების 85.0 პრო-

ცენტი შეადგინა და წლიურად 140.5 პროცენტით მოიმატა. საანგარიშო თვეში ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობა საგრძნობლად (5-ჯერ) გაიზარდა.

ვიზიტორები ტიპების მიხედვით




2021 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოში პანდემიის შემაკავებელი ზომების შერბილებამ და საზღვრების გახსნამ ტურიზმის დარგის გაჯანსაღებას ხელი შეუწყო და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდა გაგრძელდა. 2022 წლის აპრილში ვიზიტორების წლიურმა ზრდამ 160.1 პროცენტი შეადგინა, თუმცა ეს საბაზო ეფექტს უკავშირდება, ვინაიდან 2021 წელს ანალოგიურ პერიოდში ტურიზმი პრაქტიკულად გაჩერებული იყო. 2020 წლის აპრილთან შედარებით კი 6-ჯერ მეტი ვიზიტორი შემოვიდა. რეგიონის ქვეყნებიდან ყველაზე დიდი წვლილები ვიზიტორების ზრდაში რუსეთიდან (30.3 კპ), სომხეთიდან (29.0 კპ), თურქეთიდან (18.0 კპ) და უკრაინიდან (8.6 კპ) შემოსულმა ვიზიტორებმა შეიტანეს. ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა, რამაც მთლიან ზრდაში 14.1 კპ წვლილი შეადგინა. განსაკუთრებით, გერმანიიდან (2.6 კპ), პოლონეთიდან (2.2 კპ) და გაერთიანებული სამეფოდან (1.1 კპ) შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ მოიმატა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ბელარუსიდან, ირანიდან და

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
ყაზახეთიდან შემოსული ვიზიტორების არსებითი ზრდა. წინა თვის მსგავსად, საანგარიშო პერიოდში, ისრაელიდან შემოსული ვიზიტორთა რაოდენობა კვლავ მაღალი იყო (6.8 კპ).

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 2022 წლის აპრილში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 204.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. საერთაშორისო რეზერვების კლება, მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ განაპირობა. საერთაშორისო რეზერვების კლება ასევე კომერციულ ბანკებთან განხორციელებულმა ოპერაციებმაც განაპირობა. კერძოდ, 2022 წლის აპრილში გაუქმდა სავალუტო სვოპები და შესაბამისად საერთაშორისო რეზერვების მოცულობაზე კლების მიმართულებით იმოქმედა (-73 მლნ). ამავდროულად, აპრილში ლარის გამყარების ფონზე შემცირდა უცხოურ ვალუტით მოზიდულ სახსრებზე დასაცავი სარეზერვო ნორმები. მცირედით, ზრდის მიმართულებით სავალუტო ინტერვენციებმა იმოქმედა.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები

მილიარდი აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, სანაპიროს ქ. N2
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

